



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ქ. ონი



N 9
05/01/2018

9-02-4-201801051419



**ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი
ინფრასტრუქტურული პროექტების (საპროექტო დოკუმენტაციის)
შესწავლისა და შეთანხმების მიზნით საკონსულტაციო
(ტექნიკური) საბჭოს შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-
ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეიქმნას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების (საპროექტო დოკუმენტაციის) შესწავლისა და შეთანხმების მიზნით საკონსულტაციო (ტექნიკური) საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

მერაბ ორდინიძე	მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ვალერიან გობეჯიშვილი	მერის თანაშემწე, საბჭოს წევრი;
თეიმურაზ გმელიშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;
დავით რაზმაძე	მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;
გივი ბენდიანიშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

მიხეილ ლობჯანიძე	მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რამაზ ჯელაძე	ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ონის მომსახურების ცენტრის მთავარი ინჟინერი, საბჭოს მოწვეული წევრი;
ზაზა ჯაფარიძე	გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ონის სერვის ცენტრის ტექნიკური მენეჯერი, საბჭოს მოწვეული წევრი;
გიორგი ბერიშვილი	სოკარ ჯორჯია გაზის თერჯოლის ცენტრის ამბროლაური-ონის სერვის ცენტრის სპეციალისტი, საბჭოს მოწვეული წევრი;
შორენა ბიძიშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბჭოს წევრი;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროსესო კოდექსი“-ს თანახმად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი